2026-2027 | საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

1. მონაწილეთა რაოდენობა: 10

1	ყაზბეგი სტეფანწმინდა	6	არმაზი მარნეული
2	ლოკომოტივი თბილისი	7	ჭადარი თელავი
3	ფოთი ფოთი	8	შავი ბასტიონები რუსთავი
4	დინოზავრი წყალტუბო	9	ტაო ასპინძა
5	ყოჩები ბოლნისი	10	არწივები ოზურგეთი

1.1 შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა კლუბმა (გუნდმა) სრკ-ს სარეგისტრაციო პორტალში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მიუთითოს როგორც ბუნებრივსაფარიანი, ან ხელოვნურსაფარიანი მოედნის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც აპირებს შესაბამისი შეჯიბრებების მიმდინარეობისას მასპინძელი კლუბის (გუნდის) სტატუსით თამაშების ჩატარებას, და რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მე-9 მუხლის (რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი) მოთხოვნებს. მოედნების არჩევისას გამონაკლისს წარმოადგენს ის სათამაშო მოედნები, რომელიც სრკ-ს წინასწარ აქვს შერჩეული სანაკრებო და ფრენჩაიზის სავარჯიშო და საერთაშორისო მატჩების გამართვის ლოკაციად.

1.2 გუნდს საშეჯიბრო განაცხადში შეყვანილი უნდა ჰყავდეს სრკ-ს შესაბამისი რეგულაციით დადგენილი წესით რეგისტრირებული მინიმუმ 32 (ოცდათორმეტი) მოთამაშე, მათ შორის არანაკლებ 8 (რვა) პირველხაზელი (მინიმუმ 2 სპეციალისტი თითო პოზიციაზე 1, 2, 3, ნომრები) და მინიმუმ 2 სპეციალისტი (9 და 10 ნომრები) თითო პოზიციაზე.

1.3 კლუბი, რომელიც მონაწილეობს ესპუარების გათამაშებაში საერთო საშეჯიბრო განაცხადი (ძირითადი გუნდი + ესპუარები) უნდა შეიცავდეს სათანადო წესით რეგისტრირებულ არანაკლებ 10 (ათი) პირველ ხაზელს (აქედან მინიმუმ 4 (ოთხი) პირველხაზელი მოთამაშე უნდა იყოს 24 წლამდე).

1.4 კლუბი რომელიც გადაწყვეტს ესპუართა ლიგაში მონაწილეობის მიღებას, საშეჯიბრო განაცხადში შეყვანილი უნდა ჰყავდეს სათანადო წესით რეგისტრირებული არანაკლებ 50 მოთამაშე (აქედან მინიმუმ 23 (ოცდასამი) მოთამაშე უნდა იყოს 24 წლამდე ასაკის).

1.5 სამონაწილეო გადასახადია გუნდზე 3 800 (სამი ათას რვაასი) ლარი, რომელიც უნდა გადაიხადოს რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში

1.6 მოთამაშის ბარათის დამზადების გადასახადია მოთამაშეზე 15 (თხუთმეტი) ლარი

2. გათამაშების სისტემა

2.1. შეჯიბრი ტარდება ორ ეტაპად:

2.1.1. I ეტაპი – რეგულარულ ჩემპიონატი – გაიმართება ორ წრედ: მიმოსვლით – შინ და გარეთ (18 ტურად)

2.1.2. ჩემპიონი გამოვლინდება II ეტაპზე – პლეი-ოფში. ამ ეტაპში მონაწილეობს რეგულარული ჩემპიონატის ოთხი მოწინავე გუნდი

2.2. პირველ ეტაპზე (რეგულარულ ჩემპიონატში) ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით:

2.2.1. თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი, ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ

ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესისხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.2.2. ჩემპიონატის II ეტაპზე – პლეი-ოფში – თამაშები გაიმართება კლასიკური სქმით ორ (2) ტურად:

- რეგულარულ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით გუნდებს მიენიჭებათ ნომრები – 1, 2, 3, 4 – ჩემპიონატის ბოლომდე
- „მასპინძლობს" ნიშნავს "ირჩევს მოედანს განაცხადში მითითებული სტადიონებიდან“



2.2.3. პირველ ტურში ორი მატჩია ნახევარფინალი

2.2.4. 1 – 4, 2 – 3, ერთ მატჩიანი ნახევარფინალები, მასპინძლობს მოწინავე გუნდები

2.2.5. მეორე ტურშიც ორი მატჩია:

ა) წაგებულები თამაშობენ 1 მატჩიან მესამე ადგილის ფინალს უკეთეს ნომრიანის მიერ შერჩეულ მოედანზე

ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები გადიან დიდ ფინალში

(დფ) ერთ მატჩიანი დიდი ფინალი გაიმართება სრკ - ს მიერ შერჩეულ მოედანზე

2.2.6. პლეი-ოფში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი.

თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში;

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში;

გ) რომელსაც უკეთესი ნომერი მიენიჭა პლეი-ოფის დაწყების წინ

2.2.6 I ლიგის ჩემპიონი პირდაპირ ადის 2027-2028 სეზონის დიდ 10-ში და ცვლის 2026-2027 სეზონის დიდ 10-ში ბოლო, X ადგილზე გასულ გუნდს

2.2.7 I ლიგაში II ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2027-2028 სეზონისთვის დიდ 10-ში ასასვლელად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2026-2027 სეზონში დიდი 10-ის IX ადგილოსანს

2.2.7.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია I ლიგის გუნდი

2.2.8 I ეტაპის დასრულების შემდეგ ბოლოსწინა, IX ადგილოსანი გუნდი შემდეგი, 2027-2028 სეზონისთვის I ლიგაში დასარჩენად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2026-2027 სეზონში რეგიონული ლიგის II ადგილოსანს

2.2.8.1. თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი

2.2.9 I ეტაპის დასრულების შემდეგ ბოლო, X ადგილოსანი გუნდი პირდაპირ ტოვებს I ლიგას.

2.2.9.1. მის ადგილს შემდეგ, 2027-2028 სეზონში იკავებს 2026-2027 სეზონში რეგიონული ლიგის გამარჯვებული.

2.2.11 2.2.7 და 2.2.8 მუხლებში ნახსენები დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით. ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.2.11.1 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან (დანართი #10)

3. სავარაუდო ვადები

2026 წლის სექტემბერი – 2027 წლის მაისი

4. მატჩის გამართვის წესი

4.1. შეჯიბრის ეფექტური მართვის და გუნდების მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით, საქართველოს რაგბის კავშირი თითოეულ მატჩზე მიავლენს შესაბამის თანამშრომლებს, რომლებიც მასპინძელი გუნდის პერსონალთან და მატჩის ოფიციალურ პირებთან ერთობლივად მოახდენენ მატჩის ორგანიზებას.

4.2. მატჩის ორგანიზებაში ჩართულ პირთა სავალდებულო ფუნქციები:

მატჩის მეთვალყურე (სრკ)	მთავარი როლი: უზრუნველყოს მოედნის დათვალიერება, სტადიონის ტქნიკური დათვალიერება, გასახდელები, მსაჯის ოთახი, ტელევიზია, ინტერნეტი, ჩაატაროს ბრიფინგი მატჩის მომსახურე პირებთან, სტადიონის ტექნიკურ პერსონალთან და დაცვასთან, ყინული, ცყალი, მოსაცმელები (გუნდები, ექიმები, ტექ.პერსონალი, ტელევიზია, ფოტოგრაფები) სტადიონზე უნდა გამოცხადდეს თამაშის დღეს, მატჩის დაწყებამდე 2 საათით ადრე, დანიშნოს ბრიფინგი და ყველა პასუხისმგებელ პირთან ერთად გაიაროს თამაშის გეგმა მატჩის მსვლელობის ყველა აქტივობის (ჯარიმა, ლელო, გარდასახვა, შეცვლა, ტრავმა და სხვა) აღრიცხვა
მოედნის მენეჯერი / სტადიონის დირექტორი (მასპინძელი კლუბი)	მთლიანი პასუხისმგებლობა სტადიონზე, ყველანაირი თანადგომა და დახმარება მატჩის მეთვალყურეს თამაშამდე - მოედნის მოწესრიგება, საფარის მდგომარეობის შეფასება, მოედნის დახაზვა, ალმების და ძელის ბალიშების განთავსება
უსაფრთხოების უფროსი (მასპინძელი კლუბი)	მთლიანად სტადიონის (ტრიბუნების, გასახდელების, ტექნიკური ოთახების, გასასვლელის, მოედნის მიმდებარე პერიმეტრის) უსაფრთხოების უზრუნველყოფა
ბურთის მომტანების მენეჯერი (მასპინძელი კლუბი)	პასუხისმგებელია ბურთის მომტანების დროულად მოსვლაზე და განლაგებაზე
ბურთის მომტანები (მასპინძელი კლუბი)	გუნდებისთვის ბურთის დროულად მიწოდება
გუნდების მენეჯერები	მატჩის მეთვალყურესთან თამაშის წინ სხვადასხვა ტექნიკური დეტალების შეთანხმება; მეთვალყურისთვის სათამაშო განაცხადის დროულად შევსება და მიწოდება; გუნდის მოთხოვნების შესრულება; გუნდის მიერ მატჩის სცენარის დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.

შენიშვნა: სრკ-ს მიერ მივლენილი პირები ითვლებიან მატჩის ოფიციალურ პირებად

4.3. კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან ითამაშონ "გილბერტის" ფირმის ბურთით. მასპინძელი გუნდი ვალდებულია მატჩზე წარმოადგინოს მინიმუმ 3 სათამაშო ბურთი.

4.4. პირველი ლიგის გათამაშებაში მონაწილე კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან მატჩის დაწყებამდე მინიმუმ 1 საათით ადრე წარმოადგინონ გუნდის განაცხადის საბოლოო ვერსია, რომელშიც მომდევნო შესწორების შეტანა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ტრავმა, დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ოჯახური და/ან პირადი მდგომარეობა). ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება სადისციპლინო რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია.

4.5. თითოეული მატჩი გაიმართება სტანდარტული გეგმით, რომლის შედგენას და დაცვას ერთობლივად უზრუნველყოფენ მატჩის მეთვალყურე და მასპინძელი კლუბის (გუნდის) წარმომადგენლები.

[მასპინძელი გუნდი] – [სტუმარი გუნდი]

[სტადიონი] | [თარიღი] მატჩის სცენარი

დრო	**წუთები**	**მოქმედება**
	-65 წთ	გუნდები მოდიან სტადიონზე
	-60 წთ	მენეჯერები აბარებენ მატჩის კომისარს საბოლოო შემადგენლობებს
	-55 წთ	ეკიპირების შემოწმება
	-50 წთ	წილისყრა (დიდი 10-ის პრესბანერის ფონზე)
	-45 წთ	გუნდების მოთელვა მოედანზე
	-15 წთ	გუნდები ბრუნდებიან გასახდელში
	-4 წთ	გუნდები იკრიბებიან გვირაბში
	-2 წთ	გუნდები და მსაჯები გამოდიან მოედანზე
	-1 წთ	მატჩისწინა მზადება
[მატჩის დაწყების დრო]		**I ტაიმი**
		შესვენება
		II ტაიმი
	+1 წთ	გუნდების დერეფანი

5. მატჩის მასპინძელი გუნდის ვალდებულებები

5.1. მატჩის ეფექტურად ორგანიზების მიზნით, მასპინძელი გუნდი ვალდებულია:

5.1.1. ჩაატაროს მატჩები საშეჯიბრო განაცხადში მითითებულ სტადიონებზე.

5.1.2. უზრუნველყოს სათამაშო მოედნის და პერიმეტრის მზადყოფნა მე-8 მუხლის („რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი“) თანახმად.

5.1.3. შესაძლებლობის შემთხვევაში მიაწოდოს სტუმარი გუნდის ექიმს / ფიზიოთერაპევტს სათანადო ოდენობის ყინული.

6. კომერციული წესები

6.1. მარკეტინგი

6.1.1. კლუბის სპონსორი: კლუბი უფლებამოსილი არაა გააფორმოს სასპონსორო ხელშეკრულება ისეთ კომპანიასთან / ორგანიზაციასთან, რომელიც მოღვაწეობს იგივე ბიზნეს-სექტორში, რაც სრკ-ს და ტურნირის ძირითადი სპონსორები და უშუალო კონკურენციას უწევს მათ. მსგავსი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით, კლუბები ვალდებულნი არიან ყველა პოტენციურ სპონსორებთან მოლაპარაკების სტადიაზე მოახდინონ გარიგების კოორდინაცია საქართველოს რაგბის კავშირთან.

6.1.2. რეკლამა სტადიონზე: მატჩის მასპინძელი კლუბი ვალდებულია სრკ-ს მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს მოედანზე სრკ-ს და შეჯიბრის სპონსორების სარეკლამო ბანერების განთავსება.

6.1.3. მატჩებზე დასასწრები ბილეთები: ყველა კლუბს აქვს უფლება გაყიდოს საკუთარ საშინაო მატჩებზე დასასწრები ბილეთები. ამასთან, ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებული ყველა საფინანსო და საგადახადო ასპექტი გვარდება კლუბის მიერ.

6.2. გუნდების ეკიპირება:

6.2.1. სათამაშო ფორმის არჩევისას უპირატესობა ენიჭება სტუმარ გუნდს. სათამაშო ფერთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს მატჩის მთავარი მსაჯი.

7. რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი

7.1. პირველი ლიგის თამაშები შეიძლება გაიმართოს როგორც ბუნებრივსაფარიან, ისე ხელოვნურსაფარი მოედნებზე.

7.2. დიდ 10-თან გადათამაშება, ტარდება დიდი 10 ის დებულების 9.1 პუნქტით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს შემდეგს: „დიდი 10-ის თამაშები გაიმართება ბუნებრივსაფარიან მოედნებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი მოვლენების გამო არამიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ტიპის მოედნების გამოყენება, რის შესახებაც მასპინძელმა გუნდმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლიგის მენეჯერს და მოწინააღმდეგე კლუბს. გადაწყვეტილებას შესაბამისი არგუმენტების საუძველზე იღებს ლიგის მენეჯერი.

7.2.1. პირველ ლიგაში ასვლა/დარჩენაზე ორ მატჩა დუელში, სრკ -ს მიერ ამ მატჩის ტრანსლირების შემთხვევაში გაიმართება მასპინძლის მიერ შერჩეულ ბუნებრივსაფარიან მოედანზე (ლიცენზირებულ სტადიონზე), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი მოვლენების გამო არამიზანშეწონილია

ზემოაღნიშნული ტიპის მოედნების გამოყენება, რის შესახებაც მასპინძელმა გუნდმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლიგის მენეჯერს და მოწინააღმდეგე კლუბს. გადაწყვეტილებას შესაბამისი არგუმენტების საუძველზე იღებს ლიგის მენეჯერი.

7.3. ტერმინთა განმარტება:

7.3.1. <u>სათამაშო მოედანი</u> - ფართობი კარის და აუტის კიდის ხაზებს შორის.

7.3.2. <u>ჩათვლის (ლელოს) მოედანი - ფართობი კარის ხაზიდან ლელოს უკანა და მისი აუტის (კიდის) ხაზებს შორის.</u>

7.3.3. <u>სათამაშო არე - ფართობი სათამაშო მოედნისა და ლელოს მოედნების ჩათვლით. პერიმეტრი - სათამაშო არის ოთხივე მხრიდან არსებული გარემომცველი ე.წ.</u> უსაფრთხოების ზოლი.

7.3.4. <u>სათამაშო გარემო</u> - ფართობი სათამაშო არისა და პერიმეტრის ჩათვლით.

7.3.5. <u>ტექნიკური ზონა</u> - პერიმეტრის ზოლში მწვრთნელის, წყლის მიმტანისა და ექიმისათვის გამოყოფილი ადგილი.

7.3.6. <u>ლუქსი</u> - განათებულობის საზომი ერთეული.

7.4. მოედნის ფორმა, დახაზვა და ზომები:

7.4.1. სათამაშო არე მართკუთხა ფორმისაა.

7.4.2. სათამაშო არე უწყვეტი და წყვეტილი ხაზებით მსოფლიო რაგბის 1.3. სქემისა და 1.4. 1.5. და 1.6. რეგულაციების მიხედვით იხაზება.

7.4.3. ბუნებრივსაფარიანი სათამაშო და ლელოს მოედნის ზომები:

მაქსიმუმი	100 მ.	70 მ.	22 მ.
მინიმუმი	94 მ.	65 მ.	5 მ.

ზომა	სათამაშო მოედნის სიგრძე	სათამაშო მოედნის სიგანე	ლელოს მოედანი
მაქსიმუმი	100 მ.	70 მ.	22 მ.
მინიმუმი	94 მ.	68 მ.	6 მ.
ზომა	სათამაშო მოედნის სიგრძე	სათამაშო მოედნის სიგანე	ლელოს მოედანი

7.4.4. ხელოვნურსაფარიანი სათამაშო და ლელოს მოედნის ზომები: შენიშვნა: მსოფლიო რაგბის 1.3. რეგულაციის მიხედვით, სათამაშო არის მინიმალური სიგანე 68, ხოლო ლელოს მოედნის სიგრძე კი 6 მეტრია. თუ სათამაშო მოედნის სიგრძე 100 მ-ზე ნაკლებია, მაშინ 10 და 22 მეტრიან ხაზებს შორის მანძილი შესაბამისად უნდა შემცირდეს.

7.4.5. თუ სათამაშო მოედნის სიგანე 70 მ-ზე ნაკლებია, მაშინ მანძილი 15 მეტრიან ხაზებს შორის შესაბამისად უნდა შემცირდეს.

7.5. პერიმეტრი სათამაშო არიდან თანაბარი მანძილით უნდა იყოს დაშორებული (გარშემორტყმული), რომლის მინიმალური ზომები აუტის კიდის ხაზიდან 2

მეტრი, ხოლო ლელოს მოედნის აუტის ხაზიდან 2 მეტრი უნდა იყოს. შენიშვნა: მსოფლიო რაგბის 1.3.(e) რეგულაციის მიხედვით, პერიმეტრის სიგანე, როგორც აუტის კიდის ხაზიდან, ასევე ლელოს მოედნის აუტის ხაზიდან სასურველია, რომ 5 მეტრზე ნაკლები არ იყოს.

7.6. ტექნიკური ზონა აუტის კიდის ხაზის გასწვრივ, 10 მეტრიან წყვეტილ და 22 მეტრიან ხაზებს შორის უწყვეტი ხაზებით იხაზება. მისი მინიმალური სიგანე 1 მეტრი, ხოლო სიგრძე კი 10 მეტრია, რომელიც აუტის კიდის ხაზიდან მინიმუმ 1 მეტრით უნდა იყოს დაშორებული.

7.7. სათამაშო გარემოს ზედაპირი:

7.7.1. სათამაშო გარემოს ზედაპირი ყოველთვის უნდა იყოს უსაფრთხო. ზედაპირი დასაშვებია იყოს ბალახის და ხელოვნური ბალახის.

7.7.2. სათამაშო გარემოს ზედაპირი დაუშვებელია იყოს მკვრივი (ხისტი) ბეტონისა და ასფალტის შესაბამისად.

7.7.3. სათამაშო გარემოს ზედაპირი არ შეიძლება იყოს ქვიანი, ღრმულებიანი, ტალღოვანი, შუშის, რკინის, პლასტმასისა და სხვა მსგავსი ნივთების ნამსხვრევებითა თუ ნამტვრევებით დანაგვიანებული.

7.7.4. სათამაშო გარემოში არსებული სარწყავი სისტემის თავები (სპრინკლერები) არ უნდა იყოს ამოშვერილი მოედნის ზედაპირიდან და ისინი გრუნტის სიღრმეში უნდა მდებარეობდნენ. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს პერიმეტრის არეში არსებული საკომუნიკაციო ჭის თავსახურების შეფუთვა.

7.7.5. სათამაშო გარემოს ზედაპირი თოვლიან ამინდში ყინულისგან უნდა იქნას გაწმენდილი, ხოლო მოედნის დატბორვის შემთხვევაში თუ იგი მოთამაშეებსათვის საფრთხის შემცველია მატჩის დაწყება მსაჯის დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს.

7.8. პერიმეტრის 2 მეტრიანი ზოლის მიმდებარედ, მის აშკარა სიახლოვით განლაგებული ობიექტები (ხე, რკინის ძელი, ბეტონის კონსტრუქცია, ღობე, კედელი და სხვა), რომლებიც შესაძლებელია მოთამაშისთვის საფრთხეს წარმოადგენდეს, სავალდებულოა შეიფუთოს ისე, რომ უსაფრთხოება იქნას დაცული.

7.9. სათამაშო გარემოს ტერიტორიაზე აკრძალულია მაგიდის, სკამების, სარეკლამო კონსტრუქციის, სავარჯიშო და სათამაშო აღჭურვილობის ჩანთების, შერკინების დაზგის, საბურავების, რკინის საგორავებლების და სხვა მსგავსი ტიპის ნივთების არსებობა, გარდა მატჩის კომისრისა და დროებით გაძევებული მოთამაშეებისთვის (სინ ბინი) განკუთვნილი მაგიდა და სკამები.

7.10. სათამაშო გარემოში 14 ალამიანი სარი უნდა იყოს დასობილი, რომელთა მინიმალური სიმაღლე 1.2 მეტრია და ისინი მსოფლიო რაგბის 1.9. 1.10. რეგულაციის მიხედვით უნდა იყოს განლაგებული.

7.11. ყველა სარი შეჯახებისას დრეკადი (კეცვადი) უნდა იყოს.

7.12. რაგბის კარის ზომები მსოფლიო რაგბის 1.7. სქემის მიხედვით რეგულირდება, მაგრამ ხარიხიდან ძელის მინიმულარი სიმაღლე სასურველია 7 მეტრი იყოს.

7.13. კარის ქვედა ძელების შალითებით შეფუთვა სავალდებულოა, რომელიც კარის ხაზიდან მოედანში 30 სანტიმეტრზე მეტად არ უნდა გადიოდეს. შენიშვნა: თუ

რომელიმე გუნდს პრეტენზია გააჩნია სათამაშო გარემოსთან დაკავშირებით, თამაშის დაწყებამდე მსაჯს და მეთვალყურეს უნდა მიმართოს. მსაჯი მოვალეა რეაგირება მოახდინოს და შეეცადოს პრობლემის გადაჭრას, მაგრამ მან არ უნდა დაიწყოს მატჩი თუ სათამაშო გარემოს რომელიმე ნაწილი საფრთხის შემცველია.
(მსოფლიო რაგბის 1.11. 1.12. რეგულაციების მიხედვით)

7.14. სათამაშო გარემოს დამხმარე ნაგებობები

- გასახდელი ოთახები
- საშხაპეები
- საპირფარეშოები
- მსაჯების ოთახი
- სამუშაო სივრცე

7.15. 15-კაცა რაგბის ერთ გუნდზე მინიმუმ 23 მოთამაშეზე შესაბამისად მოწყობილი გასახდელია სავალდებულო, შესაბამისად მოწყობილი საპირფარეშოთი და საშხაპეებით, რომელიც ცივი და ცხელი წყლით თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

7.16. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა შეუფერხებლად უნდა გადაადგილდებოდეს, როგორც სამედიცინო ოთახის ან კარვის, ასევე სათამაშო გარემომდე მისასვლელ გზაზე.

7.17. მსაჯების ოთახი დამოუკიდებელი გასახდელით, საშხაპითა და საპირფარეშოთი უნდა იყოს მოწყობილი, რომელიც ცივი და ცხელი წყლით თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

7.18. მასპინძელი გუნდი ვალდებულია ხელი შეუწყოს მატჩის მეთვალყურეს შეჯიბრების დროს თავისი ფუნქციის განხორციელებაში.

7.19. დამხმარე ნაგებობები, კერძოდ გასახდელი ოთახები, საპირფარეშოები და საშხაპეები ისევე, როგორც სათამაშო გარემოს მიმდებარედ არსებული საჯარო სველი წერტილები, ექვემდებარება ყოველთვიურ სავალდებულო დეზინფექციას, რომელიც ეპიდემიოლოგის მითითებების შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

8. შეჯიბრის სამედიცინო მომსახურების წესი

პირველ ლიგაში მონაწილე ყველა გუნდი, ვალდებულია მის მოთამაშეს აუნაზღაუროს გუნდის აქტივობების დროს მიღებული ტრავმების მკურნალობისა და რეაბილიტაციითვის საჭირო ხარჯი.

8.1. საქართველოს რაგბის კავშირი უზრუნველყოფს დიდი 10-ის თითოეულ თამაშზე სასწრაფო დახმარების ბრიგად(ებ)ის დასწრებას ან სრკ მიერ განსაზღვრული სტანდარტით აღჭურვილ სამედიცინო ოთახსა და სამედიცინო პერსონალს.

8.2. პირველი ლიგის მონაწილე ყველა კლუბი (გუნდი) ვალდებულია სეზონის დაწყებამდე წარმოადგინოს მოთამაშეების სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი (ფორმა #100), რომელიც უნდა მოიცავდეს (მინიმუმ):

- თერაპევტის კონსულტაციას
- კარდიოლოგის კონსულტაციას (მსოფლიო რაგბის მიერ შემუშავებული კარდიოლოგიური სკრინინგის დოკუმენტაცია)

- ეკგ-ს
- კავშირი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

8.3. ყველა კლუბი (გუნდი) ვალდებულია, სეზონის დაწყებამდე წარმოადგინოს გუნდში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

8.4. პირველი ლიგის მონაწილე თითოეული კლუბი (გუნდი), ვალდებულია ჰყავდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, კერძოდ: მინიმუმ - 1 ექიმი ან 1 ფიზიოთერაპევტი/მასაჟისტი.

8.5. ყველა მოთამაშე, რომელსაც თამაშში დაუდასტურდება ტვინის შერყევა ტოვებს მოედანს/ არ ბრუნდება თამაშზე და ისვენებს მინიმუმ 8 დღე (19 წლამდე ასაკის მორაგბე ისვენებს მინიმუმ 14 დღე).

8.6. ყველა კლუბი ვალდებულია მის მოთამაშეებს აუნაზღაუროს გუნდის აქტივობების დროს მიღებული ტრავმების მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯი.